



## მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 19 აპრილი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
2. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი „ეკოტექი“
3. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
4. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
5. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
6. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
7. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
8. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
9. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
10. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
11. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
12. მარიამ შოთაძე - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

## განსახილველი საკითხები:

1. ასოცირების შეთანხმების გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის შესაძლებლობები და საშუალებები/ ასოცირების შეთანხმების მიმართულებით მიმდინარე პროექტების პრეზენტაციები;
2. მინისტრიალის „გარემო ევროპისათვის“, (8-10 ივნისი 2016, ბათუმი) პარალელური შეხვედრის (side event) მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვა;
3. პრეზენტაცია საქართველოში ენერგოეფექტური მასალების წარმოების შესახებ: ნაკეთობები ბაზალტის ქვიდან. თიხაფიქალების მასებიდან შემდგარი ღვარცოფის პრევენცია და ამ მასების შემადგენლობიდან 10 სახეობის ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების წარმოება. **პრეზენტატორი: თამაზ ვაშაკიძე;**
4. მწვანე ეკონომიკის საკითხებზე ქვეჯგუფის შესაძლო ჩამოყალიბების საკითხის განხილვა;
5. სხვა მიმდინარე საკითხები

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

ჯგუფის კოორდინატორმა ბატონმა ანზორ დუნდუამ, აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს სულ 5 შეხვედრის ჩატარების შესაძლებლობა აქვს, საჭიროების შემთხვევაში ჯგუფის წევრ ორგანიზაციებში შესაძლებელია შეხვედრების ჩატარება. ამდენად დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა აქტიურობისკენ.

პირველ ჯერზე, ჯგუფმა განიხილა მინისტრიალის „გარემო ევროპისათვის“ პარალელური შეხვედრის (side event) საკითხი. ქალბატონმა მანანა დევიძემ, მოკლედ მიმოიხილა მინისტრიალის ფორმატი და ხაზი გაუსვა, რომ არსებობს კონკრეტული გამოწვევები, მათ შორის ფინანსური სახის, რამდენადაც პარალელური შეხვედრისთვის როგორც დარბაზის დაქირავების, ისე სხვა ორგანიზაციული ხარჯების დაფარვა თავად ორგანიზაციას უწევს. მან ჯგუფის წევრებს მოუწოდა, სურვილის შემთხვევაში, დროულად მიიღონ საჭირო ზომები, ასევე დაინიშნოს დამატებით შეხვედრა, სადაც მონაწილეები დეტალურად დაგეგმვენ მინისტრიალში მათი ჩართულობის ფორმატს. თავის მხრივ კი გამოხატა მზაობა აქტიურად ჩაერთოს პროცესებში.

ქალბატონმა ნინო ჩხობაძემ, რომელიც გახლავთ მინისტრიალზე საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი, დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მზადდება არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი მიმართვა კონფერენციისთვის, რომელიც მოგვიანებით დაეგზავნებათ მონაწილეებს.

მან ასევე განმარტა, რომ პარალელური შეხვედრის თემატიკები და ფორმატი ჯერ არ არის გადაწყვეტილი, ასევე ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ მინისტრიალის პლენარულ სხდომაზე დასწრება შეზღუდულია, ამიტომაც იგი ითხოვს მეტ მანდატს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რათა ქართული დელეგაციას წევრების უმრავლესობამ შეძლოს დასწრება.

ქალბატონმა ნინომ, დამსწრეებს შესთავაზა პლატფორმის სახელით გააკეთონ განცხადება და გაავრცელონ კონფერენციაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ მინისტრიალზე ჩამოდის ევროპის

კომისარი გარემოს დაცვის საკითხებში და მოუწოდა მონაწილეებს დაგეგმონ შეხვედრა კომისართან და გადასცენ მკაფიო გზავნილები. ამასთანავე, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ მინისტერიალზე წარმოდგენილი იქნება ყველა ის დიდი ფონდი, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებზე მუშაობს, რაც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის ორგანიზაციებისთვის.

შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო ასოცირების შეთანხმების გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის შესაძლებლობებისა და საშუალებების საკითხს.

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა, ქალბატონმა მარიამ შოთაძემ, აღნიშნა რომ ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს მომხმარებლების უფლებების დაცვის კუთხით. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვებგვერდი [www.asocireba.ge](http://www.asocireba.ge) სადაც ხდება ასოცირების ხელშეკრულების მონიტორინგი სწორედ მომხმარებელთათვის საინტერესო მიმართულებებით.

ორგანიზაცია ასევე, მონაწილეობს საგრანტო კონკურსში, რომლის მიზანიც გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება ასოცირების ხელშეკრულების მონიტორინგის კუთხით. ამდენად, ორგანიზაცია ამ მიმართულებით აქტიურად აპირებს მუშაობის გაგრძელებას.

საკითხთან დაკავშირებით პლატფორმის თავმჯდომარემ, ბატონმა კახა გოგოლაშვილმა ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ჩატარებული პირველი სექტორალური შეხვედრის შესახებ, რომელიც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შედგა.<sup>1</sup>

შეხვედრის შემდეგი ნაწილი დაეთმო ბატონი თამაზ ვაშაკიძის პრეზენტაციას: საქართველოში ენერგოეფექტური მასალების წარმოების შესახებ.

პრეზენტაციაში მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ასოცირების ხელშეკრულების იმ ნაწილზე, რომელიც მოიცავს ქვეყნის ენერგეტიკულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის ენერგოეფექტურობის მიმართულებას, ამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა.

ბატონმა თამაზმა აღნიშნა, რომ საქართველოს აქვს ბაზალტის ქვის მარაგი და გააჩნია ქარხნები მათი გადამამუშავებისთვის. თუმცა სამწუხაროდ მათი აქტიური გამოყენება არ ხდება. მან ისაუბრა ბაზალტის ქვისგან დამზადებული სამშენებლო მასალების დადებით თვისებებზე და აღნიშნა, რომ იგი შესანიშნავი თბო და ბგერსაიზოლაციო მასალებია.

მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა თიხაფიქალების მასებზე. მისი ინფორმაციით მდინარე დურუჯს, კავკასიის სამხრეთ ფერდობებიდან, ჩამოაქვს ნაშალი თიხაფიქალების უზარმაზარი მასები, რომელიც იძლევა საშუალებას, არა მხოლოდ ქვეყნისთვის, არამედ

---

<sup>1</sup> დამატებითი ინფორმაცია შეხვედრის შესახებ იხილეთ საქართველოს ეროვნული პლატფორმის ვებგვერდზე: [http://eap-csf.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=373%3Aseqtoraluri-shekhvedra-saqarthvelos-garemosa-da-bunebrivi-resursebis-dacvis-saministrosthan&catid=1%3Aakhali-ambebi&Itemid=1338&lang=ka-GE](http://eap-csf.ge/index.php?option=com_content&view=article&id=373%3Aseqtoraluri-shekhvedra-saqarthvelos-garemosa-da-bunebrivi-resursebis-dacvis-saministrosthan&catid=1%3Aakhali-ambebi&Itemid=1338&lang=ka-GE)

მთელი რეგიონისთვის, საშენი მასალებისა და ნაკეთობების წარმოების ნედლეულის ამოუწურავ წყაროდ გადაიქცეს.

ამდენად დასახელებული რესურსების ათვისება, მნიშვნელოვნად მიიჩნია. საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, ბატონ თამაზს შესთავაზა, ჯგუფთან ერთად შეიმუშაოს განცხადება და გავრცელდეს პლატფორმის სახელით, რაზედაც ჯგუფის დამსწრე წევრებმა ერთობლივი თანხმობა განაცხადეს.

შეხვედრის ბოლოს, ჯგუფმა განიხილა მწვანე ეკონომიკის ქვეჯგუფის ჩამოყალიბების საკითხი. რამდენადაც აღნიშნული ასევე პრიორიტეტულია მეორე სამუშაო ჯგუფისთვის გადაწყდა, მათთან კონსულტაციის შემდგომ, მეორე ჯგუფის წევრ, მსურველ ორგანიზაციებთან ერთად ჩამოყალიბდეს მწვანე ეკონომიკის ქვეჯგუფი. ქალბატონმა მანანამ ჯგუფის წევრებს შესთავაზა დააყენონ აღნიშნული საკითხი და მას შემდეგ რაც შეგროვდება წესდებით განსაზღვრული ორგანიზაციების რაოდენობა (5 ორგანიზაცია) სამდივნოს მიაწოდონ ინფორმაცია ქვეჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.